მშობლის ემოციური ხელმისაწვდომობა და ბავშვის ემოციური რეგულაცია

სტუდენტი: მარი ჯავახაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

1.1 განაცხადი

„როგორც, წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარი ჯავახაძე, 18.06.2021

1.2 აბსტრაქტი

ემოციური რეგულაცია ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსქიოლოგიური კეთილდღეობის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის ჩამოყალიბებაც ადრეული ბავშვობიდან იწყება და გავლენას ახდენს ადამიანების ინტერპერსონალური ურთიერთობების ხარისხზე, პრობლემის გადაჭრისა და მეგობრობის უნარებზე, აკადემიურ მოსწრებასა და სამსახურეობრივი მოვალეობების ეფექტურად შესრულებაზე. ზოგიერთი ბავშვი ადრეული ასაკიდანვე ხდება მშობლის უგულვებელყოფის ან ჰიპერმზრუნველობის, არასათანადო მოპყრობის, არათანმიმდევრული აღზრდის მეთოდებისა და ძალადობის მსხვერპლი, რაც ხშირად ბავშვის ემოციური რეგულაციის დისფუნქციაში, ქცევით პრობლემებსა და დისორგანიზებულობაში გამოიხატება. უგულვებელყოფისა და არათანმიმდევრულობის საპირისპიროდ ემოციურად ხელმისაწვდომი მშობელი შვილის კომუნიკაციური სიგნალების უკუკავშირზე, შვილის ავტონომიურობის განცდის მხარდაჭერასა და ბავშვის პროქსიმალური განვითარების ზონის შესაბამის ინტერაქციაზეა ორიენტირებული.

მოცემული სამაგისტრო კვლევის მიზანია მშობლის ემოციური ხელმისაწვდომობის გავლენის განსაზღვრა ბავშვის ემოციურ რეგულაციაზე, მონაცემების შეგროვება და დამუშავება განხორციელდება რაოდენობრივი კვლევის დიზაინის მიხედვით, კვლევის მონაწილეების შერჩევა განხორციელდა ხელმისაწვდომობის შერჩევის მეთოდით (მშობლები N=30, ბავშვები N=30) კვლევაში გამოყენებულია 2 ძირითადი ინსტრუმენტი: ემოციური ხელმისაწვდომობის სკალები მშობლის ემოციური ხელმისაწვდომობის შეფასებისთვის -EA Scales 3-rd. Edition (Biringen et al., 1998; Biringen, 2008) და ემოციური რეგულაციის კითხვარი (Anne Shields & Dante Cicchetti, 1995) ბავშვის ემოცური რეგულაციისა და ემოციური დისრეგულაციის დონის განსაზღვრისთვის.

რეგრესიული ანალიზის მიხედვით ბავშვის ემოციური ლაბილურობა/დისრეგულაციის ($F(1,28)=44,2$, $R^2=.60$, $p<0.01$) 60%- ის და ემოციური რეგულაციის ($F(1,28)=41,7$, $R^2=.58$,

p<0.01) 58 %-ის ახსნა შესაძლებელია მშობლის ემოციური ხელმისაწვდომობით. აღნიშნულ კვლევაში ემოციური ხელმისაწვდომობის ხარსხი არ განსხვავდება მშობლის ან ბავშვის გენდერის მიხედვით.

განვითარების ფსიქოლოგებისა და მიჯაჭვულობის საკითხების მკვლევარების მიხედვით სენსიტიური და უკუკავშირზე დაფუძნებული მზრუნველობის დროს, ჩვილსა და დედას შორის ყალიბდება ძლიერი ემოციური და კომუნიკაციური კავშირი, რის შედეგადაც ახალშობილ და მცირეწლოვან ბავშვებს უვითარდებათ სოციალურ-ემოციური კომპეტენციები, რომელიც ინტრენალიზებულია უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნების სახით. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა აღნიშნული თეორიის პრაქტიკაში დანერგვა, მცრეწლოვანი ბავშვების მშობლების ემოციური ხელმისაწვდომობის შეფასება და კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაციის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში სპეციალისტებს მისცემს პრევენციული ზომების მიღებისა და შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვის შესაძლებლობებს, რაც მაღალი ალბათობით შეამცირებს ბავშვთა ემოციურ და ქცევით პრობლემებს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ აქტივობებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემოციური რეგულაცია,ემოციური ხელმისაწვდომობა, მშობლის სენსიტიურობა

Abstract

Emotional regulation is one of the most important determinants of mental health and psychological well-being, the formation of which begins in early childhood and affects the quality of interpersonal relationships, problem-solving and friendship skills, academic achievement and effective job performance. Some children become victim to parental neglect or hyper-care, mistreatment, inconsistent parenting methods, and violence from an early age, often manifested in dysfunction of the child's emotional regulation, behavioral problems, and disorganization. Contrary to neglect and inconsistency, the emotionally available parent focuses on the feedback of the child's communication signals, supporting the child's sense of autonomy and provide appropriate interaction according to child's proximal developmental zone.

The aim of this master's research is to determine the impact of parental emotional availability on the child's emotional regulation, data collection and processing was done according to the design of quantitative research. The study participants were selected by accessibility sampling method (parents N = 30, children N = 30)Evaluating Parental Emotional Access -EA Scales 3-rd. Edition (Biringen et al., 1998; Biringen, 2008) and the Emotional Regulation Checklist (Anne Shields & Dante Cicchetti, 1995) to determine the level of emotional regulation and emotional dysregulation in a child.

According to the regression analysis, 60% of the child's emotional lability / disregulation ($F(1,28)=44,2$, $R^2=.60$, $p<0.01$) and 58% of emotional regulation ($F(1,28)=41,7$, $R^2=.58$, $p<0.01$) can be explained by parental emotional availability. The degree of emotional availability in this study did not differ according to the gender of the parent or child.

According to developmental psychologists and riding researchers, in sensitive and feedback-based care, strong emotional and communicative bonds are formed between infants and mothers, resulting in socio-emotional competencies that are internalized in the sense of security and intranetality. The study made it possible to put this theory into practice, assess the emotional availability of parents of toddlers and incorporate research-based information into educational programs, which in the long run will enable specialists to take preventive measures and plan appropriate interventions, which will reduce the risk of behavioral and emotional challenges in preschool children.

Keywords: emotional regulation, emotional availability, parental sensitivity